



დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2022 წლის 11 მაისი

დისციპლინური საქმე №62/22
მოსამართლე --- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების ნაწილობრივ შეწყვეტის შესახებ

--- 2022 წლის 12 აპრილის №62 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2022 წლის 21 აპრილის №240/62-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ და განხორციელდა საქმის მასალების გამოთხოვა.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები:

1.1. საჩივრის ავტორის განცხადებით მოსამართლემ გააჭიანურა საქმეების (№--, №--, №--, №--) განხილვის ვადა.

1.2. საჩივრის ავტორი აცხადებს, რომ საქმეებში: №--, №-- დააყენა შუამდგომლობები მოსამართლის საქმიდან აცილების შესახებ, რაც მოსამართლემ არ დააკმაყოფილა.

1.3. საჩივრის ავტორის განცხადებით მოსამართლემ საქმეში №-- არასწორად მიიჩნია საპატიოდ გამოთხოვილი მტკიცებულებების წარდგენაზე მოპასუხე მხარის უარი, ამასთან, არ განახორციელა სათანადო ღონისძიებები დოკუმენტის სიყალბის დადგენის მიზნით და არ დააკმაყოფილა მოსარჩელის შუამდგომლობა მტკიცებულებების საქმიდან ამორიცხვის თაობაზე.

1.4. ასევე, საქმეში №-- მოსამართლემ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმები. კერძოდ, მიუხედავად აშკარა საფუძვლისა არ მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება და დანიშნა სასამართლო სხდომა. ამასთან, საჩივრის ავტორი სადავოდ ხდის მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებას.

2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. ---, ---, ---, --- და სხვ. 2019 წლის 19 ნოემბერს სარჩელით მიმართეს --- საქალაქო სასამართლოს, მოპასუხის --- მიმართ სახელფასო დავალიანების ანაზღაურების დაკისრების მოთხოვნით (საქმე: №--).

2020 წლის 22 იანვარს მოსარჩელე მხარემ განცხადებით მიმართა სასამართლოს და მიაწოდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მოპასუხე მხარეს ორჯერ გაუგზავნა სარჩელი და თანდართული

დოკუმენტები, თუმცა მისი ჩაბარება ვერ მოხერხდა. რის შემდგომაც, ფოსტაში გამოცხადდა -- თანამშრომელი ---, რომელმაც ჩაიბარა სარჩელი თანდართული დოკუმენტებით.

2020 წლის 31 იანვარს მოსარჩელე მხარემ მტკიცებულების გამოთხოვის შესახებ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს. 2020 წლის 10 თებერვალს სასამართლომ მიიღო განჩინება მტკიცებულებათა გამოთხოვის შესახებ. კერძოდ, საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია იმის შესახებ, გაცემულია თუ არა -- დირექტორის და მფლობელის -- -- მიერ მოქალაქე -- -- მინდობილობა/რწმუნებულება, რომელიც -- -- აღჭურავს ადმინისტრაციული ფუნქციებით --. 2020 წლის 20 თებერვალს საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა საქართველოს ნოტარიუსთა პალატამ სასამართლოში წარადგინა განცხადება.

2020 წლის 10 თებერვალს სასამართლომ მიიღო განჩინება შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოსათვის გზავნილის მხარისათვის გადაცემის დავალების შესახებ.

სასამართლო სხდომები გაიმართა 2020 წლის 14 სექტემბერს, 23 ოქტომბერს, 14 დეკემბერს, 2021 წლის 25 იანვარს, 17 მარტს, 28 აპრილს, 9 ივნისს, 2 ივლისს, 30 აგვისტოს, 18 ოქტომბერს, 15 დეკემბერს, 2022 წლის 26 იანვარსა და 21 თებერვალს.

2020 წლის 14 დეკემბერს -- განცხადებით მიმართა სასამართლოს. კერძოდ, მხარემ სასამართლოს აცნობა, რომ სასამართლოს მიერ გამოთხოვილ დოკუმენტებს ვერ წარადგენდა, რადგან მისი მოძიება ვერ შეძლო.

2021 წლის 27 აპრილსა და 9 ივნისს მოსარჩელე მხარემ სამოქალაქო საქმეზე მტკიცებულების დართვისა და მტკიცებულების გამოთხოვის შესახებ შუამდგომლობებით მიმართა სასამართლოს.

2021 წლის 25 მაისს მოპასუხე მხარემ სასამართლოში წარადგინა შესაგებელი. 2021 წლის 28 მაისს სასამართლომ მიიღო განჩინება შესაგებლის მიღებაზე უარის თქმისა და მისი განუხილველად დატოვების თაობაზე.

2021 წლის 16 დეკემბერს სასამართლომ მიიღო განჩინება სასამართლო უწყების შინაგან საქმეთა სამინისტროს ადგილობრივი ორგანოს მეშვეობით ჩაბარების დავალების შესახებ. 2021 წლის 20 დეკემბერს სასამართლომ მიიღო განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯარო გავრცელების შესახებ.

2022 წლის 21 თებერვალს სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების თაობაზე.

2.2. ---, ---, ---, --- და სხვ. 2019 წლის 12 აგვისტოს სარჩელით მიმართეს -- -- სასამართლოს, მოპასუხის --- მიმართ სახელფასო დავალიანების ანაზღაურების დავისრების მოთხოვნით (საქმე: №--). 2019 წლის 28 ოქტომბერს მოსარჩელე მხარემ წარადგინა დაზუსტებული სარჩელი.

2019 წლის 13 აგვისტოსა და 2020 წლის 19 თებერვალს სასამართლომ მიიღო განჩინებები სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ მოსარჩელის შუამდგომლობების ნაწილობრივ დაკმაყოფილების თაობაზე.

2019 წლის 19 დეკემბერს მოსარჩელე მხარემ განცხადებით მიმართა სასამართლოს და მიაწოდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მოპასუხე მხარეს ორჯერ გაუგზავნა სარჩელი და თანდართული დოკუმენტები, თუმცა მისი ჩაბარება ვერ მოხერხდა. რის შემდგომაც, გზავნილი ჩაიბარა -- თანამშრომელმა ---.

2020 წლის 31 იანვარს მოსარჩელე მხარემ მტკიცებულებათა გამოთხოვის შესახებ განცხადებით მიმართა სასამართლოს. 2020 წლის 10 თებერვალს სასამართლომ მიიღო განჩინება მტკიცებულებათა გამოთხოვის შესახებ. კერძოდ, საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია

იმის შესახებ, გაცემულია თუ არა -- დირექტორის და მფლობელის -- -- მიერ მოქალაქე -- -- მინდობილობა/რწმუნებულება, რომელიც -- -- აღჭურავს ადმინისტრაციული ფუნქციებით --. 2020 წლის 20 თებერვალს საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა საქართველოს ნოტარიუსთა პალატამ სასამართლოში წარადგინა განცხადება.

2020 წლის 10 თებერვალს სასამართლომ მიიღო განჩინება შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოსათვის გზავნილის მხარისათვის გადაცემის დავალების შესახებ.

2020 წლის 23 მარტს მოპასუხე მხარემ სასამართლოში წარადგინა შესაგებელი.

სასამართლო სხდომები გაიმართა 2020 წლის 14 სექტემბერს, 23 ოქტომბერს, 2021 წლის 9 ივნისსა და 30 ივნისს.

2020 წლის 23 ოქტომბერს მოსარჩელე მხარემ მტკიცებულებების გამოთხოვისა და მოპასუხის მიერ წარდგენილი საბუთის ნამდვილობის დადგენის მიზნით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 137-ე მუხლით გათვალისწინებული ღონისძიებების გამოყენების მოთხოვნით მიმართა სასამართლოს.

2020 წლის 14 დეკემბერს -- განცხადებით მიმართა სასამართლოს. კერძოდ, მხარემ სასამართლოს აცნობა, რომ სასამართლოს მიერ გამოთხოვილ დოკუმენტებს ვერ წარადგენდა, რადგან მისი მოძიება ვერ შეძლო.

2021 წლის 1 ივნისს მოსარჩელე მხარემ სამოქალაქო საქმეზე მტკიცებულებების დართვის შესახებ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს.

2021 წლის 30 ივნისს სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების თაობაზე.

2021 წლის 3 აგვისტოს მოსარჩელე მხარემ სააპელაციო საჩივარი წარადგინა სასამართლოში.

2021 წლის 13 ოქტომბერს -- სააპელაციო სასამართლომ მიიღო განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

2.3. -- -- 2021 წლის 22 სექტემბერს სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს, მოპასუხის - -- მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის დადგენის, მოსარჩელესთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ მოპასუხის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის, სამსახურში აღდგენის, იძულებითი განაცდურის ანაზღაურებისა და მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით (საქმე: №--).

2021 წლის 25 ოქტომბერს მოპასუხე მხარემ სასამართლოში წარადგინა შესაგებელი.

2022 წლის 9 მარტს, 24 თებერვალსა და 27 აპრილს მოსარჩელე მხარემ მტკიცებულებების გამოთხოვისა და საქმეზე მტკიცებულებების დართვის შესახებ შუამდგომლობებით მიმართა სასამართლოს.

სასამართლო სხდომა გაიმართა 2022 წლის 9 მარტსა და 27 აპრილს, ამასთან, საქმეზე შემდგომი სხდომა დანიშნულია 23 მაისს.

2.4. -- --, -- --, -- --, -- -- და სხვ. 2021 წლის 25 თებერვალს სარჩელით მიმართეს -- -- სასამართლოს, მოპასუხის - -- -- მიმართ მოსარჩელეთა სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობის, სამსახურში აღდგენის, იძულებითი განაცდურის ანაზღაურებისა და გადაუხდელი სახელფასო დავალიანების ანაზღაურების მოთხოვნით (საქმე: №--).

2021 წლის 28 აპრილს მოპასუხე მხარემ სასამართლოში წარადგინა შესაგებელი.

სასამართლო სხდომები გაიმართა 2021 წლის 30 აგვისტოს, 18 ოქტომბერს, 13 დეკემბერსა და 2022 წლის 12 იანვარს.

2021 წლის 27 აგვისტოსა და 13 დეკემბერს მოსარჩელე მხარემ მტკიცებულებების გამოთხოვის, მოწმეთა დაკითხვისა და საქმეზე მტკიცებულებების დართვის შესახებ შუამდგომლობებით მიმართა სასამართლოს.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც წარმოდგენილია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტში.

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია სასამართლოს დამოუკიდებლობა. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მართლმსაჯულებას ახორციელებენ სასამართლოები, 62-ე მუხლის მე-2 პუნქტი კი განსაზღვრავს, რომ მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის და შეცვლის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს. საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს და არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად, თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

სწორედ სასამართლოს დამოუკიდებლობის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ „მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). გასაჩივრების უფლების რეალიზაციის მიზნით, მხარეებს მათი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად, შესაძლებლობა აქვთ მიმართონ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს. შესაბამისად, დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

ზემოაღნიშნული პრინციპების დასაცავად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტი განსაზღვრავს, რომ დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

მოცემულ შემთხვევაში კანონიერებაზე ზედამხედველობის აკრძალვა გულისხმობს მოსამართლის მიერ კანონის განმარტების, მტკიცებულებების შეფასების, აგრეთვე, ფაქტობრივი და სამართლებრივი დასკვნების შეფასების დაუშვებლობას. აღნიშნული ფართო გაგებით, ჰიპოთეტურად, კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის სახისა და ელემენტების გათვალისწინებით, შეიძლება მოიცავდეს მოსამართლის მიერ მიღებული აქტების შესწავლასაც. თავის მხრივ, იმის შემოწმება, ხომ არ ჩაიდინა მოსამართლემ დისციპლინური გადაცდომა წარმოადგენს მოსამართლის ქმედების კანონიერების შემოწმებას.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლი განსაზღვრავს სასამართლოსათვის წერილობითი მტკიცებულებების წარდგენის სავალდებულობას. კერძოდ, მითითებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გამოთხოვილ წერილობით მტკიცებულებებს ფიზიკური და იურიდიული პირები გადაუგზავნიან სასამართლოს დანიშნულ ვადაში. თუ მათ არ შეუძლიათ ამ ვადაში წარადგინონ ეს მტკიცებულებები, ისინი ვალდებული არიან, აცნობონ სასამართლოს ამის შესახებ მიზეზების მითითებით.

ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 137-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილების თანახმად, მხარეს უფლება აქვს საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების სტადიაზე განაცხადოს, რომ წარდგენილი საბუთი ყალბია. ასეთი განცხადება მას შეუძლია გააკეთოს აგრეთვე საქმის სასამართლო სხდომაზე განხილვის დროსაც, თუ ეს საბუთი წარდგენილ იქნა ამ სასამართლო სხდომაზე, ან ადრე წარდგენილი საბუთის სიყალბე მისთვის ცნობილი გახდა სასამართლო სხდომაზე. მტკიცებულების წარმდგენ მხარეს შეუძლია სთხოვოს სასამართლოს მტკიცებულებებიდან სადავო საბუთის ამორიცხვა და საქმის გადაწყვეტა საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების საფუძველზე. ასეთი თხოვნის არარსებობის შემთხვევაში სასამართლო შეამოწმებს საბუთის ნამდვილობას, რისთვისაც შეუძლია დანიშნოს ექსპერტიზა, მოითხოვოს დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენა ან გამოითხოვოს სხვა მტკიცებულებები. თუ სასამართლო მივა იმ დასკვნამდე, რომ წარდგენილი საბუთი ყალბია, მას მტკიცებულებებიდან გამორიცხავს. ამასთან, წარდგენილ წერილობით მტკიცებულებათა ნამდვილობის შემოწმება შეიძლება სასამართლოს ინიციატივით.

№-- საქმეზე მოსარჩელემ -- მტკიცებულების გამოთხოვის შესახებ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს. თუმცა, აღნიშნული მტკიცებულება მოპასუხე მხარემ ვერ მოიძია, ამდენად სასამართლოს აცნობა, რომ მის წარდგენას ვერ შეძლებდა. ხოლო, მოსამართლემ მოპასუხის მიერ მტკიცებულების წარდგენაზე უარი მიიჩნია საპატიოდ.

ამასთან, საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელე მხარემ დოკუმენტის სიყალბის დადგენის მიზნით შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს. კერძოდ, მხარემ მოითხოვა დოკუმენტის სიყალბის დასადგენად სასამართლოს სათანადო ღონისძიებები განეხორციელებინა და მტკიცებულებები საქმიდან ამოერიცხა, თუმცა, აღნიშნული შუამდგომლობა მოსამართლემ არ დააკმაყოფილა.

უნდა აღინიშნოს, რომ მოსამართლის დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს განსაზღვროს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად, მხარის მიერ მტკიცებულების წარდგენაზე უარი რამდენად შეიძლება მიჩნეულ იქნას საპატიოდ. ამასთან, საპროცესო კანონმდებლობა მოსამართლეს ანიჭებს უფლებამოსილებას შეამოწმოს მხარეთა მიერ წარდგენილი წერილობითი მტკიცებულებების ნამდვილობა და ამ მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, მიმართოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ღონისძიებებს. ამდენად, მხარის შუამდგომლობების განხილვისას მოსამართლე მოქმედებდა მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების საკითხის შეფასება, სცილდება

დამოუკიდებელი ინსპექტორის კომპეტენციის ფარგლებს. ამდენად, საჩივრის ავტორის მოთხოვნა, რომელიც შეეხება მოსამართლის მიერ შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასების შედეგად გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმებას არ შეიძლება განხილულ იქნეს დისციპლინურ გადაცდომად.

რაც შეეხება, მოსარჩელე მხარის განცხადებას იმის შესახებ, რომ საქმეში №-- მოსამართლემ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმები. კერძოდ, მოპასუხე მხარემ სასამართლოში შესაგებელი წარადგინა კანონით დადგენილი ვადის დარღვევით, თუმცა მოსამართლემ არ მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება. აღსანიშნავია, რომ მოცემულ საქმეზე სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232¹ მუხლით დადგენილი წესით და იმის გათვალისწინებით, რომ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად არ ამართლებდნენ სასარჩელო მოთხოვნას, საქმეზე არ მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება და დანიშნა სასამართლო სხდომა. ამასთან, ვინაიდან, მოპასუხე მხარემ საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დარღვევით, დაგვიანებით, წარადგინა შესაგებელი, 2021 წლის 28 მაისს სასამართლომ მიიღო განჩინება შესაგებლის მიღებაზე უარის თქმისა და მისი განუხილველად დატოვების თაობაზე.

კანონით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნების არარსებობისას, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი შეაფასოს მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების/განჩინების კანონიერება, რადგან არ წარმოადგენს მართლმსაჯულების განმახორციელებელ ორგანოს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანონიერების შემოწმების მიზნით დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელება შეუძლებელია.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტით, 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ვ ე ტ ა :

1. შეწყდეს -- -- №62 საჩივრის საფუძველზე მიმდინარე დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ, მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებისა და განჩინების კანონიერების შემოწმების მოთხოვნის ნაწილში (წინამდებარე გადაწყვეტილების 1.3. და 1.4. პუნქტები).
2. გაგრძელდეს დისციპლინური სამართალწარმოება №62/22 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლე -- -- მიმართ, დისციპლინური გადაცდომის სხვა ფაქტების შესწავლის ნაწილში (წინამდებარე გადაწყვეტილების 1.1 და 1.2. პუნქტები).

ზურაბ აზნაურაშვილი
დამოუკიდებელი ინსპექტორი